



**ATIPfund**  
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

[www.atipfund.gov.ge](http://www.atipfund.gov.ge)

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

**State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking**



KA030888432967216

№ 07-159/ო

21 / ნოემბერი / 2016 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის – თბილისის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2016 წლის 31 აგვისტოს #07-108/ო ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის – თბილისის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2016 წლის 31 აგვისტოს № 07-108/ო ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებულის თავშესაფარში მიღების შემთხვევაში, თავშესაფრის უფროსი ვალდებულია, 24 საათის განმავლობაში, ხოლო არასამუშაო დღეებში, მომდევნო სამუშაო დღეს, აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს ფონდის დირექტორს.“

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

A handwritten signature in black ink, appearing to read 'თ. ბარკალაია' (T. Barkalaya). The signature is fluid and cursive, with a long horizontal stroke at the end.